

ქ. ბაღდათი

1 ივნისი 2015 წელი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- ირაკლი გეგეშიძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.  
გელა მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი.  
მირიან ფულარიანი - ეკონომიკური დაგეგმარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.  
ანტონ ქარაბაკი - აუდიტისა და მინიტორინგის სამსახურის უფროსი. კომისიის წევრი  
მანაველ კვირიკაშვილი - ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი. კომისიის წევრი  
შალვა სვანიძე - იურიდიული განყოფილების (ბიუროს) უფროსი. კომისიის წევრი.  
მამუკა ჭელიძე - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. კომისიის წევრი.  
იოსებ სოფაძე - კეთილმოწყობის საკითხების მთავარი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.  
თეიმურაზ ებანოიძე - მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვის საკითხებში. კომისიის აპარატის წევრი.

**დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში როხი-სალომინაოს და ფერსათი-როკითი-დიდველა-ვარციხის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვის მიზნით სატენდერო განცხადების გამოცხადების შესახებ.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

სატენდერო კომისიის წევრის ანტონ ქარაბაკის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. აღინიშნა, რომ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ვინაიდან სამუშაოების შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ასევე შესასრულებელი სამუშაოების მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია მოთხოვნილი იქნას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.


სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

- დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** 1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნების გათვალისწინებით.  
2) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 918340 ლარი.  
3) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს კლასიფიკატორის კოდით CPV45233100-გზატკეცილების, გზის მშენებლობა.

4)სატენდერო კომისის აპარატმა უზრუნველყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. <https://tenders.procurement.gov>.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი გეგეშიძე:



კომისიის წევრები:

გელა მშვილდაძე:



ანტონ ქარაბაკი:



შალვა სვანიძე:



მამუკა ჭელიძე:



მირიან ფულარიანი:



მანაველ კვიციანი:

